DOI: 10.51364/26679604.jcpr.2021.v02i02.005

ზაზა ცინაძე

წმ. ანდრიას ქართული უნივერსიტეტი,
საქართველო
cinadzezaza@yahoo.com

ცენტრალური საპარლამენტო საარჩევნო კომისიის წინასაარჩევნო საქმიანობა 1918-1919 წლებში

ნაშრომი დაფუძნებელია 1918-1921 წლებში საქართველოში გამომავალ ჟურნალ-გაზეთებზე, საარქივო დოკუმენტებზე, რომლებშიც დაცულია ცენტრალური საარჩევნო, სამაზრო, საქალაქო და სასოფლო კომისიების სხდომის ოქმები, აგრეთვე დამფუძნებელი კრებისა და მისი სხვადასხვა კომისიების სტენოგრაფიული ანგარიშები. მოვლენების ობიექტურად აღსადგენად და ანალიზის უკეთ ჩასატარებლად კვლევისას დამატებით გამოყენებულია მემუარები, იმ პერიოდის დოკუმენტები და ამ თემაზე გამომავალი მონოგრაფიები. აღნიშნულ წყაროებზე დაყრდნობით ჩვენ შევეცდებით დეტალურად წარმოვადგინოთ დამფუძნებელი კრების მოღვაწეობის საინტერესო დეტალები.

საკვანძო სიტყვები: დამფუძნებელი კრება, არჩევნები, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა

საქართველოს პარლამენტის მიერ საარჩევნო დებულების დამტკიცებისა და ზოგადი საარჩევნო პრინციპების შემუშავების შემდეგ, არჩევნების ჩატარებისა და საარჩევნო პროცესის სრულყოფილად წარმართვის მიზნით შეიქმნა დამფუძნებელი კრების ცენტრალური საპარლამენტო საარჩევნო კომისია. აღნიშნულ კომისიაში შევიდნენ, სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან: 1) ალ. ლომთათიძე, 2) სილ. ჯიბლაძე, 3) მელ. რუსია, 4) გ. ცინცაძე, 5) ო.სოლოღაშვილი, 6) ვლ. ჟღენტი, 7) ი. ფირცხალაიშვილი, 8) სპირ. თევზაძე; სოციალისტ-ფედერალისტებიდან: 1) არჩ. ჯაჯანაშვილი, 2) ი. ღლონტი; ეროვნულ-დემოკრატებიდან: 1) გ. გვაზავა, 2) ი. ლორთ-

ქიფანიძე, 3) ალ. ასათიანი; დამოუკიდებელი ეროვნულ-დემოკრატები: 1) გრ. ვეშაპელი; სოციალ-რევოლუციონერები: 1) ი. გობეჩია, 2) ი. თევზაძე; რადიკალ-დემოკრატები: 1) ალ. ახმეტელი; "ალიონის" ჯგუფი: 1) ბ. ქავთარაძე; დაშნაკ-ცუტუნის პარტიიდან: 1) დ. დავითხანოვი; დამოუკიდებელთა კავშირი: 1) მაყაშვილი; თათრების ბლოკი: 1) აბდულ-რახიმ ახვერდოვი; კადაგების მხრიდან: დოლუხანოვი (ს.ც.ს.ს.ა, ფ.1834, აღ.2, ს.#74, გვ.2).

ცენტრალური საარჩევნო კომისია პირველად შეიკრიბა 1918 წლის 26 ნოემბერს. სხდომა გახსნა კომისიის უხუცესმა წევრმა სილიბისტრო ჯიბლაძემ. კომისიის თავმჯდომარედ არჩეული იქნა ალექსანდრე ლომთათიძე. პრეზიდიუმში შევიდნენ თავმჯდომარის ამხანაგი (მოადგილე) არჩილ ჯაჯანაშვილი, ი. გობეჩია, მდივანი ო.სოლოღაშვილი, ხაზინადარი ი. ლორთქიფანიძე. პირველივე სხდომაზე გადაწყდა, რომ სხდომის კვორუმი იქნებოდა შვიდი კაცი, კრებები ჩატარდებოდა ორშაბათს და ხუთშაბათს დილის საათებში (ს.ც.ს.ს.ა, ფ.1834, აღ.2,ს.#19, გვ.1-2).

ცენტრალურმა საპარლამენტო საარჩევნო კომისიამ შექმნის დღიდანვე აქტიურად დაიწყო წინასაარჩევნო მუშაობა. 27 ნოემბრის სხდომაზე გადაწყდა, მოეწყოთ მოკლევადიანი საინსტრუქტორო კურსები ქუთაისსა და თბილისში, სადაც მოხდებოდა საარჩევნო კომისიის წევრების გადამზადება, ამით არჩევნების დროს ნებისმიერი გაუგებრობა თავიდან იქნებოდა აცილებული. ასევე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, გაზეთების საშუალებით გამოეცხადებინათ ინსტრუქტორთა მიღების დრო და ადგილი.

დამფუძნებელი კრების არჩევნებისთვის საჭირო ფინანსებს განკარგავდა თვითონ ცენტრალური საარჩევნო კომისია, თანხის განაწილება და გადაცემა პრეზიდიუმის მინიმუმ 2 წევრის ხელმოწერის გარეშე დაუშვებელი იყო. არჩევნების ჩასატარებლად და პარტიების დასაფინანსებლად პარტიების მხრიდან გამოყოფილ იქნა 4 მილ. მანეთი. შინაგან საქმეთა სამინისტროს გაეგზავნა ცნობა, რომ შეეტყობინებინა ადგილობრივი თვითმმართველობებისათვის ცენტრალური საპარლამენტო საარჩევნო კომისიის შექმნა და საჭიროების შემთხვევაში, გაეწიათ დახმარება კომისიისთვის (ს.ც.ს.ს.ა, ფ.1834, აღ.2,ს.#19, გვ.3-4).

ცენტრალური საპარლამენტო საარჩევნო კომისიის მესამე სხდომაზე გადაწყდა, დაეჩქარებინათ საინსტრუქტორო კურსების დაწყება. ინსტრუქტორთათვის ინსტრუქციის შედგენა დაევალა კომისიის თავმჯდომარეს. ამ სხდომაზე ცვლილება მოხდა კომისიის პრეზიდიუმის შემადგენლობაში ხაზინადრის თანამდებობაზე, ი. ლორთქიფანიძის ნაცვლად არჩეულ იქნა გ. გვაზავა (ს.ც.ს.ს.ა, ფ.1834, აღ.2,ს.19, გვ.5-6).

დამფუძნებელი კრების არჩევნების ჩატარება იგეგმებოდა 1919 წლის გვიან გაზაფხულზე, თუმცა 1918 წლის 29 დეკემბერს ცენტრა-

ლური კომისიის წინაშე ახალი ინიციატივით წარსდგა მთავრობის წევრი, შინაგან საქმეთა მინისტრი, სოციალ-დემოკრატი ნოე რამიშვილი, რომელმაც ცენტრალური საარჩევნო კომისიის წინაშე გააკეთა მთავრობის სახელით განცხადება. ის ცენტრალურ საარჩევნო კომისიას სთხოვდა არჩევნების დაჩქარებას. ამ ფაქტს ნოე რამიშვილი შემდეგი არგუმენტებით ხსნიდა: 1918 წლის იანვარში იხსნებოდა ვერსალის საზავო კონფერენცია და იმისათვის, რომ ამ კონფერენციაზე საქართველო დამოუკიდებელ ქვეყნად ეცნოთ, მის დელეგაციას ჰქონოდა იურიდიული ლეგიტიმაცია, ის უნდა ყოფილიყო ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლებისგან დაკომპლექტებული, რომელიც ზურგს გაუმაგრებდა საქართველოს დელეგაციას.

ამ ინიციატივის მიხედვით, არჩევნები უნდა ჩატარებულიყო მთელს საქართველოში 1919 წლის თებერვლის დასაწყისში, თუმცა კომისია ვარაუდობდა იმასაც, რომ გარემო პირობებიდან გამომდინარე, შეიძლებოდა რამდენიმე უბანზე არჩევნები ვერ მომხდარიყო. კომისიამ ასევე მიიღო გადაწყვეტილება, სამაზრო გამგეობებისთვის გაეგზავნათ საარჩევნო კომისიის მოწყობის დაჩქარებისა და ამოქმედების შესახებ განკარგულება. კომისიამ არჩევნების დაჩქარების გამო დამფუძნებელი კრების საარჩევნო დებულებაში ცვლილებებზეც დაიწყო მუშაობა საარჩევნო ვადებთან დაკავშირებით, რათა თავიდან ყოფილიყო აცილებული გარკვეული ხარვეზები (ს.ც.ს.ს.ა, ფ.1834, აღ.2,ს.#19, გვ.6-7).

31 დეკემბერს დამტკიცებული იქნა ნოე რამიშვილის წინადადება არჩევნების დაჩქარებასთან დაკავშირებით, არჩევნების დაწყების თარიღად დაინიშნა 14 თებერვალი. ასევე შეცვლილი იქნა საარჩევნო დებულების სათანადო მუხლები და სამი მუხლი[1] საერთოდ იქნა ამოღებული (ს.ც.ს.ს.ა, ფ.1834, აღ.2,ს.#19, გვ.7).

1919 წლის 2 იანვარს მაზრებში გაიგზავნა ცენტრალური საარჩევნო კომისიის მოთხოვნა საარჩევნო სიების დადგენისა და დაზუსტების თაობაზე. 2 იანვრის სხდომაზე გადაწყდა ასევე, რომ ცენტრალური სარჩევნო კომისიის პრეზიდიუმს დამატებოდა ერთი მდივანი, ალ. ხახანაშვილი.

1919 წლის 2 იანვარს ცენტრალურმა საპარლამენტო საარჩევნო კომისიამ სპეციალური მიმართვა გაუგზავნა საქართველოს პარლამენტს, რომელშიც ეწერა: „დამფუძნებელი კრების მოწვევის დაჩქარების გამო პოლიტიკური მოსაზრებიდან გამომდინარე, არჩევნები უნდა გაიმართოს 14 და 16 თებერვალს, თუმცა ყველა უბანზე არჩევნები ვერ შედგება უამინდობისა და სხვადასხვა პირობების გამო, მაგრამ უმეტეს ოლქებში არჩევნების ჩატარება უპრობლემოდ შეიძლება“ [ს.ც.ს.ს.ა, ფ.1834, აღ.2,ს.#19, გვ.8-9]. აღნიშნულ წერილს ხელს აწერდნენ ცენტრალური საპარლამენტო საარჩევნო

1 ეს მუხლებია: 35,37,38.

კომისიის თავმჯდომარე ალ. ლომთათიძე და კომისიის მდივანი.

1919 წლის 10 იანვარს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტმა მიიღო კანონი დამფუძნებელი კრების არჩევნების 14-16 თებერვალს ჩატარების შესახებ.[1]

1919 წლის 6 იანვარს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ერობებსა და თვითმმართველობებს ავანსის სახით გამოუყო თანხები საარჩევნო წესების გაცნობის, არჩევნების თარიღის შეტყობინებისა და კამპანიის ჩასატარებლად, ერობებს 115 000 მანეთი, ხოლო ქალაქის თვითმმართველობებს 122 000 მანეთი.

ამავე სხდომაზე პარტიებს დაევალათ საკანდიდატო სიების წარმოდგენა. ასევე მიიღეს პირადობის ბარათების ნიმუშები. ინსტრუქტორთა კანდიდატების შერჩევა და კურსების მოწყობის დაჩქარება დაევალა პრეზიდიუმს (ს.ც.ს.ს.ა, ფ.1834, აღ.2,ს.#19, გვ.9).

ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემდეგ სხდომაზე დამტკიცდა ქუთაისის სამაზრო კომისიის შემადგენლობა. ასევე პარტიებს განესაზღვრათ საკანდიდატო სიების წარმოდგენის ვადა - 15 იანვარი.

1919 წლის 10 იანვარს მიიღეს გადაწყვეტილება საარჩევნო ბარათის ზომისა და აღწერილობის შესახებ. საარჩევნო ბარათი უნდა ყოფილიყო ორფურცლიანი საგაზეთო ქაღალდის ერთი მერვედი და ზედ დაწერილი უნდა ყოფილიყო: „ ხმას ვაძლევ ამა და ამ პარტიის საკანდიდატო სიას, ნომერი და პარტიის მიერ წარმოდგენილი კანდიდატთა გვარები.“[2] იმ საარჩევნო უბნებში, სადაც ბიულეტენი დააკლდებოდათ, ამომრჩევლებს ჰქონდათ უფლება, ჩვეულებრივ ქაღალდზე დაეწერათ კონკრეტული პარტიის ნომერი წარწერით, ხმას ვაძლევ ამ ნომერს და ჩაედო კონვერტში ფურცელი, ეს ხმა ითვლებოდა კანონიერად.

იმ კანდიდატების შესახებ, რომლებიც საქართველოში არ იმყოფებოდნენ საკანდიდატო სიები განხილვის მომენტში, მოხდებოდა მსჯელობა კონკრეტულ პირებზე ინდივიდუალურად სიებში შეყვანის, დატოვების ან ამოშლის თაობაზე (ს.ც.ს.ს.ა, ფ.1834, აღ.2,ს.#19, გვ.11).

დამფუძნებელი კრების არჩევნებისთვის საჭირო ბიულეტენების დაბეჭდვის ვალდებულებას კისრულობდა ცენტრალური საარჩევნო კომისია, მაგრამ თუ რომელიმე პარტიას ექნებოდა სურვილი საკუთარი ბიულეტენების დაბეჭდვის, მას ამის უფლება ეძლეოდა. ბიულეტენების დაბეჭდვის ხარჯებს ფარავდა ცსკ. ცენტრალური საარჩევნო კომისია თვითონ უზრუნველყოფდა ბიულეტენების სამაზრო და საქალაქო კომისიებში დარიგებას. ეს უკანასკნელნი კი ვალდებული იყვნენ, გაეგზავნათ ბიულეტენები საარჩევნო უბნებზე ყუთებთან, ეს გადაწყვეტილება მიღებულ იქნა 16 იანვარს, ხოლო

1 ახალი სტილით.

2 საარჩევნო ბიულეტენები იხილეთ დანართში #1.

20 იანვრისთვის ყველა პარტია ვალდებული იყო წარმოედგინა იმ ბიულეტენების რაოდენობა, რაც მათ სჭირდებოდათ საარჩევნოდ.

გიორგი გვაზავას ინიციატივით ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, ცალკე დაებეჭდათ საარჩევნო დებულების ის მუხლები, რომლებიც ეხებოდა არჩევნების დროს მართლწესრიგის დაცვას და ხმის მიცემის პროცესს. აღნიშნული მუხლები უნდა გაგზავნილიყო მაზრებში, საარჩევნო უბნებზე გამოსაკრავად, სადაც საარჩევნო ყუთები იდგა. აღნიშნული ინიციატივა მიღებული და შესრულებული იქნა კომისიის მიერ (ს.ც.ს.ს.ა, ფ.1834, აღ.2,ს#19, გვ.14-15).

1919 წლის 20 იანვარს ცენტრალური საარჩევნო კომისიის წინაშე მოხსენებით წარსდგა ამავე კომისიის თავმჯდომარე ალ. ლომთათიძე, რომელმაც კომისიის წევრებს გააცნო მაზრებში არსებული სიტუაცია ამომრჩეველთა სიებთან და საარჩევნო საქმიანობასთან დაკავშირებით. მისი განცხადების მიხედვით, არჩევნები შეიძლებოდა ვერ ჩატარებულიყო მთიანეთსა და ბორჩალოს მაზრებში, ასევე სოხუმის ოლქსა და ზემო სვანეთში. სხვა მაზრებში წინასაარჩევნო მზადება ნორმის ფარგლებში მიმდინარეობდა.

ქუთაისის გუბერნიაში ინსტრუქტორთა დამტკიცების დროს სოციალისტ-ფედერალისტთა და სოციალისტ-რევოლუციონერთა შორის არსებობდა დავა იმის შესახებ, თუ რომელი პარტიის წარმომადგენელი იქნებოდა ინსტრუქტორი, ეს დაპირისპირება გადაწყდა სოციალისტ-ფედერალისტთა სასარგებლოდ.

თბილისის გუბერნიაში დაინიშნა ოთხი ინსტრუქტორი, ორი სოციალ-დემოკრატიული, ერთი სოციალისტ-ფედერალისტური და ერთი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიიდან.

კომისიამ ამავე სხდომაზე კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი, რომ საკანდიდატო სიაში არ შეიძლებოდა შესულიყო საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირი და საარჩევნო პროცესთან დაკავშირებული მიწერ-მოწერა და სხვადასხვა დოკუმენტები შედგენილი უნდა ყოფილიყო ქართულ ენაზე. 22 იანვრისთვის ყველა პარტია ვალდებული იყო, წარმოედგინა მათთვის საჭირო ბიულეტენების რაოდენობის შესახებ ცნობა. გ. გვაზავას წინადადება, დაბეჭდილიყო იმდენივე ბიულეტენი პარტიებისა, რამდენი ამომრჩეველიც იღებდა მონაწილეობას არჩევნებში, უარყოფილ იქნა (ს.ც.ს.ს.ა, ფ.1834, აღ.2,ს.#19, გვ.15-16).

22 იანვარს ალ. ლომთათიძემ გააკეთა განცხადება საარჩევნო კონვერტებთან დაკავშირებით. საარჩევნო კანონში ეწერა, რომ მთელი რესპუბლიკის მასშტაბით გამოყენებული უნდა ყოფილიყო ერთი ფერის კონვერტები, თუმცა საჭირო რაოდენობის ერთი ფერის კონვერტების შეძენა ვერ ხერხდებოდა არჩევნებისთვის. ამიტომ ყველა უბანზე კომისია თვითონ არჩევდა კონვერტების ფერს. ერთ საარჩევნო უბანზე შეიძლება გამოყენებული ყოფილიყო მხო-

ლოდ ერთი ფერის კონვერტები (ს.ც.ს.ს.ა, ფ.1834, აღ.2,ს.#19, გვ.17-18).

23 იანვრიდან ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ დაიწყო წარმოდგენილი საკანდიდატო სიების განხილვა, მანამდე კი მიიღო ერთი გადაწყვეტილება, რომ ცენტრალური საარჩევნო კომისიის ბეჭდის გარეშე პირადობის ბარათებს ძალა არ ექნებოდათ.[1]

პირველი პარტია, რომლის საკანდიდატო სიის განხილვაც დაიწყო ცენტრალურმა კომისიამ, იყო სოციალ-დემოკრატიული პარტია. ამ პარტიაში პრობლემური აღმოჩნდა რამდენიმე კანდიდატის საბუთები, რომლებსაც აკლდა პარტიის წევრობის დამადასტურებელი დოკუმენტები. ეს კანდიდატები იყვნენ: ა. ჩხენკელი, ვ. თევზაია, ვლ. ახმეტელაშვილი, კ. გვარჯალაძე, თუმცა სოციალ-დემოკრატიული პარტიის მიერ წარმოდგენილი ფორმალური საბუთის საფუძველზე ამ კანდიდატების პარტიულ კუთვნილებაში ეჭვი არავის შეუტანია. სიიდან ამოღებული იქნა მხოლოდ ერთი წევრი, შარიფოვი, რომელიც არ იყო საქართველოს მოქალაქე და მის ნაცვლად სიაში შეტანილი იქნა ოსმან შავყი ეფენდი მიქელაძე 66-ე ნომრად. ასევე პარტიას დაევალა ნ. კაციაშვილის მამის სახელის ჩაწერა საკანდიდატო სიაში და ი. ელიგულაშვილის არჩევნებში მონაწილეობის თანხმობის საბუთი.

სოციალ-დემოკრატიული პარტიის საკანდიდატო სია დამტკიცებულ იქნა #1-ად, ხოლო საარჩევნო კომისიაში წარმომადგენლად დაინიშნა შალვა აბდუშელიშვილი.

შემდეგი განხილვა მიეძღვნა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის საკანდიდატო სიას. სიიდან ამოშლილი იქნენ კანდიდატები მათივე თანხმობით: ი. ცინცაძე (ია ეკალაძე), ღოღობერიძე, ჯანდიერი ([(ს.ც.ს.ს.ა, ფ.1834, აღ.2,ს.#19, გვ.18-19).

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის საკანდიდატო სიის განხილვა გაგრძელდა 24 იანვრის სხდომაზე. პარტიის სიიდან ამოღებული იქნა მიხაკო წერეთელი, რადგან ის წარმოდგენილი იყო ორი პარტიის საკანდიდატო სიაში[2], მაგრამ არცერთ ამ პარტიას არ ჰქონდა კანდიდატის თანხმობის საბუთი, ამიტომ ორივე სიიდან იქნა ამოშლილი.[3] ეროვნულ-დემოკრატიული პარტია დამტკიცებულ იქნა #2-ად.

#3-ად, საკანდიდატო სიის განხილვის შემდეგ, დამტკიცებული იქნა სოციალ-რევოლუციონერთა პარტია. სიიდან პირადი განცხა-

1 პირადობის ბარათის ნიმუში იხ. დანართში #2.

2 ეროვნულ-დემოკრატიულ და სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიები.

3 აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით ო. ჯანელიძე ამბობს, რომ მიხაკო წერეთლის ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის საკანდიდატო სიიდან ამოღების ზუსტი მიზეზი უცნობია, ავტორი მიხაკო წერეთლის ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის საკანდიდატო სიიდან ამოშლას უკავშირებდა მის ცუდ დამოკიდებულებას სოციალ-დემოკრატიულ პარტიასთან, მაგრამ როგორც აღმოჩნდა, მიზეზი სხვა ყოფილა. ჩვენ მიერ მოხერხდა აღნიშნული ფაქტის დაზუსტება საარქივო მასალებზე დაყრდნობით.

დების საფუძველზე ამოშლილი იქნა ადანაია სოლომონი, ასევე პარტიას დაევალა სამი კანდიდატის თანხმობის წერილის წარმოდგენა.

დაშნაკ-ცუტუნის სარევოლუციო პარტიის საკანდიდატო სიას მიენიჭა #4. სიიდან ამოშლილი იქნა ორი წევრი საქართველოს მოქალაქეობის არქონის გამო.[1] სოციალ-ფედერალისტთა პარტიამ მიიღო #5. ამ პარტიასაც მხოლოდ რამდენიმე წევრის თანხმობის წერილი აკლდა და დაევალათ განცხადებების მოტანა.

#6-ად დამტკიცებულ იქნა მუსლიმანთა ნაციონალური საბჭოს პარტია, #7-ად საქართველოს რადიკალ-დემოკრატიული პარტია, #8-ად საქართველოს ეროვნული პარტია, #9 საქართველოს მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა მაშვრალთა პარტია, #10-ად დამტკიცებულ იქნა შოთა რუსთაველის ჯგუფის პარტია. ამ პარტიების საკანდიდატო სიების დამტკიცების დროს სიებიდან ამოშლილი იქნენ საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირები. ასევე პარტიებს დაევალათ დავალებული დოკუმენტაციების შევსება. ბორჩალოს მაზრის ჯგუფის საკანდიდატო სიის განხილვა გადადებული იქნა შემდეგი სხდომისთვის წარმომადგენლის არყოფნის გამო.

დამოუკიდებელი (უპარტიოთა) კავშირის პარტიის სია დამტკიცებული იქნა #11-ად (ს.ც.ს.ს.ა, ფ.1834, აღ.2,ს.#19, გვ.20-22).

25 იანვრის სხდომაზე ცენტრალურმა კომისიამ საბოლოოდ განიხილა არჩევნებში მონაწილე დანარჩენი პარტიების სია და მიანიჭა მათ ნუმერაცია, #12 მიიღო ბორჩალის მაზრაში მცხოვრებ მუსლიმანთა პარტიამ. მათ მიიღეს წინადადება იმის შესახებ, რომ გაეკეთებინათ განცხადება, რა ენაზე სურდათ ბიულეტენების დაბეჭდვა.

რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას მიენიჭა #13, მაგრამ მათ საკანდიდატო სიაში აღმოჩნდა რამდენიმე ხარვეზი. არ ჰქონდათ წარმოდგენილი საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელი მოწმობები, ასევე წარმოსადგენი ჰქონდათ იმ 50 კაცის მოქალაქეობის დამადასტურებელი საბუთი, ვინც ხელს აწერდა მათი პარტიის საკანდიდატო სიის სარეკომენდაციო განცხადებას.

#14-ად და #15-ად დამტკიცებული იქნა პარტიები, შესაბამისად, #14 ესთეტიკური ლიგა პატრიოტებისა და #15 ელინთა დემოკრატიული პარტია.

ამავე სხდომაზე მიღებული იქნა გადაწყვეტილება, იმ პარტიებისათვის, რომელთა საკანდიდატო სიები უნაკლო იყო, მიეცათ ბიულეტენების დაბეჭდვის უფლება (ს.ც.ს.ს.ა, ფ.1834, აღ.2,ს.#19, გვ.22-24).

1919 წლის 26 იანვარს, იმ პარტიებმა, რომლებიც ფაქტობრივად ქმნიდნენ წინასაარჩევნო პოლიტიკურ ამინდს, წარმოადგინეს მათთვის საჭირო ბიულეტენების რაოდენობა. სოციალ-დემოკრატიული პარტია, სია #1 დამტკიცებული ბიულეტენების რაოდენობა ქართუ-

1 ჰაიკ იალჯიანი და მიხეილ ზარგარიანი.

ლად - 1 692 000, სომხურად - 367 000, რუსულად - 335 000, თათრულად - 220 000, სულ - 2 612 000.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის დასაბეჭდად დამტკიცებული ბიულეტენების რაოდენობა: ქართულად - 1 550 000, რუსულად - 40 000, თათრულად - 65 000, სულ - 1 655 000.

ზემოთ აღნიშნული პარტიების ბიულეტენები დაიბეჭდა ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ. სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ბიულეტენები, 1 200 000, დაბეჭდილი იქნა პარტიის მიერვე. სოციალ-რევოლუციონერთა პარტიის ბიულეტენები დაიბეჭდა 1 922 000, ენების მიხედვით ასე გადანაწილდა: ქართულად - 1 000 000, რუსულად - 335 000, სომხურად - 367 000, თათრულად - 220 000.

ბორჩალოს მაზრის მუსლიმანთა პარტიამ სულ დაბეჭდა 83 000 ბიულეტენი თათრულად. თუმცა იყო ისეთი პარტიები, რომლებიც რამდენიმე ათას ბიულეტენს ბეჭდავდნენ. მაგ: შოთა რუსთაველის ჯგუფის პარტია, რომელმაც სულ 7 000 ბიულეტენი დაბეჭდა და მათ შორის 6 000-ქართულად და 1000- რუსულად (ს.ც.ს.ს.ა, ფ.1834, აღ.2,ს.#19, გვ. 24-25).

27 იანვარს საბოლოოდ დამტკიცდა არჩევნებში მონაწილე პარტიების საკანდიდატო სიები, სადაც კანდიდატთა რაოდენობა ყველა საკანდიდატო სიაში სხვადასხვა იყო. ეს სიები ნაშრომს დართული აქვს პარტიების საკანდიდატო სიების დანართის სახით (ს.ც.ს.ს.ა, ფ.1834, აღ.2,ს.#19, გვ.27-31).

1919 წლის 31 იანვარს შედგა საქართველოს პარლამენტის უკანასკნელი სხდომა, რომელზედაც პარლამენტმა მიიღო დადგენილება საკუთარი უფლებამოსილების შეჩერების შესახებ იმავე დღიდან. პარლამენტი დათხოვნილად ჩაითვლებოდა დამფუძნებელი კრების შეკრებისთანავე. დამფუძნებელ კრებას მოიწვევდა პარლამენტის პრეზიდიუმი და ცენტრალური საარჩევნო კომისია.

2 თებერვალს შედგა ცენტრალური საპარლამენტო საარჩევნო კომისიის მორიგი სხდომა. კომისიამ იმსჯელა მოძრავი საარჩევნო ყუთების დაშვების შესახებ არჩევნებზე, აღნიშნული საკითხის დამტკიცება გადაიდო შემდეგი სხდომისთვის. ცენტრალური საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებით, ყველა პარტიას მიეცა უფლება, სურვილის შემთხვევაში, თვითონ წაეღოთ ბიულეტენები სამაზრო და საქალაქო კომისიებიდან ამომრჩევლებისთვის დასარიგებლად, თუ კომისიაში ერთი დღის ვადაში არ გამოცხადდებოდა პარტიის წარმომადგენელი, მაშინ სამაზრო და საქალაქო კომისიები თვითონ გააგზავნიდნენ საარჩევნო უბნებზე ყუთებთან, საიდანაც ამომრჩეველი თვითონ წაიღებდა, სურვილის შემთხვევაში, საარჩევნო ბიულეტენებს.

ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში ალ. ლომთათიძემ გააკეთა მოხსენება 2 თებერვალს საქართველოს სხვადასხვა ქალაქებსა და

მაზრებში ამომრჩეველთა სიებში მოქალაქეთა რაოდენობის შესახებ. მაზრებში: ოზურგეთში - 47 778, ახალ-სენაკის - 80 000, ზუგდიდის - 63 243, ქუთაისის - 113 949, შორაპანის - არ არის ცნობა, ლეჩხუმის - 27 000 (ზემო სვანეთის გარეშე), რაჭის - 18 795.

რაჭის მაზრაში ამომრჩეველთა ეს მცირე რაოდენობა გამოწვეულია იმ მიზეზების გამო, რომ ოსეთის ეროვნულმა საბჭომ ბოიკოტი გამოუცხადა საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნებს და ისეთ სოფლებში, სადაც ოსები ცხოვრობდნენ, ამომრჩეველთა სიების დაზუსტება ვერ მოხერხდა. რაც შეეხება დასავლეთ საქართველოს ქალაქების ამომრჩეველთა რაოდენობას, ის შემდეგნაირად გამოიყურებოდა: ოზურგეთი - 3 500, ლანჩხუთი - 3 500, ფოთი - 8 114, სამტრედია - 6 030, ახალსენაკი - 2 250, ზუგდიდი - 3 553, ხონი - 5 249, ქუთაისი - 30 000, ყვირილა - 3 500, ჭიათურა - 2 358.

აღმოსავლეთ საქართველოს მაზრებში ამომრჩეველთა რაოდენობა ასე გამოიყურებოდა: გორი - არ იყო ცნობილი, ახალქალაქის - 25 000, ახალციხის - 29 970, თბილისის - 55 557, დუშეთის - 33 000, თელავის - 40 000, თიანეთის (თუშ-ფშავ-ხევსურეთის გამოტოვებით) - 13 000, სიღნაღი - 60 000.

აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქები: ხაშური - 3 300, სურამი - 2 500, გორი - 5 700, თელავი - 5 000, სიღნაღი - 6 000, დუშეთი - 900, თბილისი - 70 000. სულ ზემოთ აღნიშნულ ქალაქებსა და მაზრებში - 768 746 ამომრჩეველი.

არჩევნების კანონიერების დაცვა, იმავე დღის სხდომის გადაწყვეტილებით, დაევალა სამაზრო და საქალაქო საარჩევნო კომისიებს. ადგილობრივ ადმინისტრაციებს კატეგორიულად მოეთხოვებოდათ, არავითარ შემთხვევაში არ ჩარეულიყვნენ საარჩევნო პროცესში. წინააღმდეგ შემთხვევაში, შედგებოდა სათანადო ოქმი, რომელიც გადაეცემოდა ცენტრალურ საარჩევნო კომისიას (ს.ც.ს.ს.ა, ფ.1834, აღ.2,ს.#19, გვ. 31-35).

ოქმების საჭირო ბლანკების სიძვირისა და მცირე რაოდენობის გამო, ზოგიერთ საარჩევნო კომისიას ტელეგრაფის საშუალებით გადაეგზავნათ კითხვები, რომლის მიხედვითაც თვითონვე უნდა შეედგინათ ოქმები საარჩევნო კომისიებს.

3 თებერვალს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ მიღებულ იქნა საბოლოო გადაწყვეტილება მოძრავი ყუთების შემოღების შესახებ. მოძრავი ყუთები შეიძლება ყოფილიყო ისეთ მთა-გორიან და მიუვალ ადგილებში, სადაც ამას საჭიროება მოითხოვდა, თუმცა მოძრავი ყუთი უნდა მოწყობილიყო საარჩევნო წესების სრული დაცვით და კონკრეტული უბნის საარჩევნო კომისიის წარმომადგენელთა მინიმუმ 2/3 ის თანხმობით (ს.ც.ს.ს.ა, ფ.1834, აღ.2,ს.#19, გვ. 35-36).

1919 წლის 8 თებერვალს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება საარჩევნო სიების აღწერის და დაზუსტების

შესახებ იმ ოლქებში, სადაც არ მომხდარა სიების დაზუსტება, რადგან აღნიშნულ ოლქებში მცხოვრებ მოსახლეობას შესძლებოდა დამატებით არჩევნებში მონაწილეობის მიღება (ს.ც.ს.ს.ა, ფ.1834, აღ.2,ს.#19, გვ. 38).

არჩევნების დაწყებამდე ერთი დღით ადრე ცნობილი გახდა იმ საარჩევნო უბნების შესახებ, სადაც ნამდვილად ვერ მოხდებოდა არჩევნები. ესენი იყო ახალციხისა და ახალქალაქის მაზრები. ამ მაზრებს, სამაზრო კომისიებს დაევალათ საარჩევნო ბიულეტენების შენახვა დამატებით არჩევნებისთვის. ასევე ყაზბეგსა და კობის საზოგადოებებში დიდთოვლობის გამო არჩევნები გადაიდო (ს.ც.ს.ს.ა, ფ.1834, აღ.2,ს.#19, გვ. 39-40).

ცენტრალური საარჩევნო კომისიის სხდომის ოქმებთან ერთად საჭიროდ მივიჩნიეთ რამდენიმე წერილის და ტელეგრამის შინაარსის ჩვენება, რომლებიც დაგვეხმარება, კარგად გავიაზროთ წინასაარჩევნო პროცესში როგორ მიმდინარეობდა კომუნიკაციები ცენტრალური საარჩევნო კომისიასა და მის დაქვემდებარებაში მყოფ კომისიებს შორის. მაგ: იანვარში დუშეთის მაზრის კომისიაში გაგზავნილ წერილში ვკითხულობთ, რომ 4 თებერვლისთვის სამაზრო კომისიამ გამოაგზავნოს კაცი საარჩევნო ბიულეტენების წასაღებად და ასევე ალექსანდრე ლომთათიძის მცირე განმარტება სამაზრო კომისიის კითხვაზე, აქვთ თუ არა რეგულარული ჯარის წარმომადგენლებს საარჩევნო ხმების უფლება, რომელზეც ლომთათიძე უპასუხებს: „რეგულარული ჯარის წარმომადგენლებს აქვთ მხოლოდ პასიური საარჩევნო ხმის უფლება. ასევე დუშეთის მაზრის კომისიისთვის გაგზავნილ წერილში ვკითხულობ მოთხოვნას იმის შესახებ, რომ მოხდეს დაზუსტება იმ საარჩევნო უბნებისა, სადაც დიდთოვლობის გამო არ მოხდება არჩევნები და შედგეს ამ უბნებზე ამომრჩეველთა სიები, რათა მათ შეძლონ დამატებით არჩევნებში მონაწილეობის მიღება, ხოლო ის, ვინც იღებს მონაწილეობას არჩევნებში დამატებით სიაში აღარ მოხვდნენ“ [ს.ც.ს.ს.ა, ფ.1834, აღ.1,ს.#5, გვ. 4].

იყო ისეთი შემთხვევებიც, როდესაც სამაზრო კომისიები აგვიანებდნენ საარჩევნო ბიულეტენების წასაღებად ჩამოსვლას. არსებობს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ტელეგრამები საქალაქო და სამაზრო კომისიების წარმომადგენლის სწრაფად გამოგზავნისა და ბიულეტენის წაღების შესახებ. ამის მაგალითია ხაშურის საქალაქო საარჩევნო კომისია, სადაც საქალაქო კომისიას სთხოვდნენ არჩევნებისთვის საჭირო საარჩევნო მასალის წასაღებად გამოეგზავნათ დაუყოვნებლივ კაცი (ს.ც.ს.ს.ა, ფ.1834, აღ.1, ს.#62).

წინასაარჩევნო პროცესის მიმდინარეობას სამაზრო და საქალაქო კომისიები სისტემატურად, ტელეგრამების სახით ატყობინებდნენ ცენტრალურ საარჩევნო კომისიას. აღნიშნულ ტელეგრამებში შესული იყო ინფორმაცია ამომრჩეველთა სიების გაწეული ხარჯე-

ბის და მსგავსი სტატისტიკური მონაცემების შესახებ. ასევე უგზავნიდნენ შეკითხვებს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, რომელთა დაზუსტება სჭირდებოდათ სამაზრო და საქალაქო კომისიებს. ამის მაგალითი იყო ხონიდან გამოგზავნილი ტელეგრამა, სადაც იყო შემდეგი შეკითხვა დასმული: ჰქონდათ თუ არა არჩევნებში მონაწილეობის უფლება 20 წლის ასაკიდან მოსწავლეებს, რაზეც მიიღეს შემდეგი პასუხი: როგორც საშუალო, ასევე უმაღლესი სასწავლებლის მოსწავლეებს აქვთ ხმის მიცემის და კენჭისყრის უფლება. ასევე იყო მოცემული დამატებითი განმარტება, რომ სამხედროებს ეძლეოდათ მხოლოდ პასიური საარჩევნო ხმის უფლება (ს.ც.ს.ს.ა ფ.1834, აღ. 1, ს. #31, გვ. 6-12).

ზემოთ მოყვანილი ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოქმებიდან კარგად ჩანდა კომისიის მუშაობა წინასაარჩევნო პროცესში, თუმცა იყო ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ცენტრალურ საარჩევნო კომისიას გარკვეული საჩივრებით მიმართავდნენ სხვადასხვა პარტიის წარმომადგენლები მათ წინააღმდეგ განხორციელებული ძალადობისა და სხვადასხვა დარღვევების გამო. თვალსაჩინოებისთვის გვინდა მოვიყვანოთ რამდენიმე ფაქტი, რომლებიც აღწერენ ამ საჩივრების მიზეზებსა და შინაარსს. სამაზრო და საქალაქო კომისიები ცდილობდნენ ხოლმე კომისიის შემადგენლობაში არ შეეყვანათ კონკურენტი პარტიების წარმომადგენლები და ბლოკავდნენ მათ. განსაკუთრებით აღსანიშნავია ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელთა სამაზრო და საქალაქო კომისიებში დაბლოკვის ფაქტები. ამის დადასტურებაა 1919 წლის 6 თებერვლის ცენტრალური საარჩევნო კომისიის სხდომაზე ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლის, სპირიდონ კედიას განცხადება, რომელიც აღნიშნავდა, რომ ხობისა და ბანძის კომისიებში ხელს უშლიდნენ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლების მუშაობას. აღნიშნული ფაქტი გამოსაძიებლად გადაეგზავნა შინაგან საქმეთა სამინისტროს, ხოლო კომისიებს გაეგზავნათ წერილი მსგავსი მოქმედების აკრძალვის შესახებ. ასევე დუშეთის სამაზრო კომისიაში ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლის დაშვებაზე ალექსანდრე ლომთათიძის მიერ წერილის გაგზავნა გახდა საჭირო.

იყო ისეთი შემთხვევები, როდესაც სოციალ-დემოკრატიული პარტიის საჯარისო ნაწილების (გვარდიის) წარმომადგენლები სხვადასხვა პარტიის წარმომადგენლებს აიძულებდნენ, ხმა მიეცათ მათი პარტიისთვის. მაგალითისთვის შეგვიძლია მოვიყვანოთ 2 თებერვლის სხდომაზე სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის განცხადება იმის შესახებ, რომ ნავთლუღში მათი პარტიის წარმომადგენლებს მიუვარდნენ გვარდიელები და მოსთხოვეს, ხმა მიეცათ არა სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიისთვის, არამედ სოციალ-დემოკრატიული პარტიისთვის. აღნიშნულ ფაქტებთან დაკავში-

რებით კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება გამოძიების დანიშვნის შესახებ (ს.ც.ს.ს.ა ფ. 1834 აღ. 2, ს. #19, გვ. 31-35).

მიუხედავად იმისა, რომ გვარდიის წარმომადგენელთა მხრიდან ადგილი ჰქონდა წინა საარჩევნო პროცესში უხეშ ჩარევას, ასევე სამაზრო და საქალაქო კომისიებში სხვადასხვა პარტიის წარმომადგენლებს ექმნებოდათ გარკვეული პრობლემა მუშაობასთან დაკავშირებით, წინასაარჩევნო პროცესი მეტ-ნაკლებად ზომიერად და კანონიერად მიმდინარეობდა, რადგან მსგავს შემთხვევებს მხოლოდ რამდენიმე უბანზე ჰქონდა ადგილი და ცენტრალური საარჩევნო კომისია ყოველთვის ცდილობდა ამ ხარვეზების აღმოფხვრას, თუმცა ფაქტი ფაქტად რჩება და ამ ხარვეზებზე თვალის დახუჭვა არ შეიძლება. მიუხედავად ამისა, საბოლოო ჯამში, შეგვიძლია ვთქვათ, რომ დამფუძნებელი კრების წინასაარჩევნო პროცესი დემოკრატიულად მიმდინარეობდა, მაგრამ ამ პროცესს თან ახლდა გარკვეული დარღვევები, რომელსაც მასიური ხასიათი არ ჰქონია.

ცალკე აღნიშვნის ღირსია სოციალ-დემოკრატიული პარტიის მიდგომა არჩევნებში გვარდიისა და რეგულარული ჯარის წარმომადგენლებთან დაკავშირებით. რეგულარული ჯარის წარმომადგენლებს არჩევნებში მონაწილეობის მხოლოდ პასიური[1] საარჩევნო ხმის უფლება ეძლეოდათ. ეს, რა თქმა უნდა, უდავოდ სწორი და დემოკრატიული პრინციპების დაცვით მიღებული გადაწყვეტილება იყო, მაგრამ აღნიშნული მუხლი რომ გავრცელებულიყო გვარდიის წარმომადგენლებზე, ეს კანონი სავსებით გამართლებული იქნებოდა. მიუხედავად იმისა, რომ გვარდია პარტიულ სამხედრო შენაერთს წარმოადგენდა, ის მაინც შეიარაღებული ფორმირება იყო და მათ მიერ დეპუტატების გაყვანა არჩევნებში სოციალ-დემოკრატიული პარტიის სიით, ნეგატიურად უნდა შეფასდეს, რადგან მათ დამფუძნებელ კრებაში რამდენიმე დეპუტატის გაყვანა სწორედ ამ პარტიის საკანდიდატო სიით შეძლეს.

დამოწმებანი

ავალიშვილი ზ, საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში,თბ. მხედარი 2011, 5-376გვ.

არჩევნების გარეშემო, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919 წლის 5 იანვარი,გვ.2.

არჩევნების გარეშემო, გაზ.„ერთობა“, 1919 წლის 25 იანვარი, გვ.3-4

1 პასიური საარჩევნო უფლება დამფუძნებელი კრების საარჩევნო დებულების მიხედვით მხოლოდ ხმის მიცემის უფლებას გულისხმობდა.

არჩევნების გარეშემო, გაზ.„საქართველო“ 1919 წლის 5 იანვარი, გვ.3-4.

გ.გვაზავა, გაზ. „საქართველო“ 1919 წლის 2 თებერვალი, გვ.3-4.

გაზ.„საქართველო“, 1919 წლის 20 იანვარი, გვ.1-4.

დამფუძნებელი კრების არჩევნები, გაზ.„საქართველო“ 1919 წლის 15 იანვარი, გვ.3.

დამფუძნებელი კრების არჩევნები, გაზ.„სახალხო საქმე“, 1919 წლის 15 იანვარი, გვ.2.

ჟორდანი ნ, ჩემი წარსული, პარიზი, 1953,-190გვ.

ს.ც.ს.ს.ა, ფონდი 1833, აღწერა 1, საქმე #193

ს.ც.ს.ს.ა, ფონდი 1833, აღწერა 1, საქმე #194

ს.ც.ს.ს.ა, ფონდი 1833, აღწერა 1, საქმე #195

ს.ც.ს.ს.ა, ფონდი 1833, აღწერა 1, საქმე #196

ს.ც.ს.ს.ა, ფონდი 1834, აღწერა 1, საქმე #31

ს.ც.ს.ს.ა, ფონდი 1834, აღწერა 1, საქმე #39

ს.ც.ს.ს.ა, ფონდი 1834, აღწერა 1, საქმე #62

ს.ც.ს.ს.ა, ფონდი 1834, აღწერა 1, საქმე# 5

ს.ც.ს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე #17

ს.ც.ს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე # 12

ს.ც.ს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე #10

ს.ც.ს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე #11

ს.ც.ს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე #13

ს.ც.ს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე #14

ს.ც.ს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე #15

ს.ც.ს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე #16

ს.ც.ს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე #18

ს.ც.ს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე #19

ს.ც.ს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე #2

ს.ც.ს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე #20

ს.ც.ს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე #21

ს.ც.ს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე #22

ს.ც.ს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე #23

ს.ც.ს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე #24
ს.ც.ს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე #25
ს.ც.ს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე #26
ს.ც.ს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე #27
ს.ც.ს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე #28
ს.ც.ს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე #29
ს.ც.ს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე #3
ს.ც.ს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე #30
ს.ც.ს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე #31
ს.ც.ს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე #32
ს.ც.ს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე #33
ს.ც.ს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე #34
ს.ც.ს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე #35
ს.ც.ს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე #36
ს.ც.ს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე #37
ს.ც.ს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე #38
ს.ც.ს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე #39
ს.ც.ს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე #4
ს.ც.ს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე #40
ს.ც.ს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე #41
ს.ც.ს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე #42
ს.ც.ს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე #43
ს.ც.ს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე #44
ს.ც.ს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე #45
ს.ც.ს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე #46
ს.ც.ს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე #47
ს.ც.ს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე #48
ს.ც.ს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე #49
ს.ც.ს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე #5
ს.ც.ს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე #50

ს.ც.ს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე #51
ს.ც.ს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე #52
ს.ც.ს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე #53
ს.ც.ს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე #54
ს.ც.ს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე #55
ს.ც.ს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე #56
ს.ც.ს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე #57
ს.ც.ს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე #58
ს.ც.ს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე #59
ს.ც.ს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე #6
ს.ც.ს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე #60
ს.ც.ს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე #61
ს.ც.ს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე #62
ს.ც.ს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე #63
ს.ც.ს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე #64
ს.ც.ს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე #65
ს.ც.ს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე #66
ს.ც.ს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე #67
ს.ც.ს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე #68
ს.ც.ს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე #69
ს.ც.ს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე #7
ს.ც.ს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე #70
ს.ც.ს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე #71
ს.ც.ს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე #72
ს.ც.ს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე #73
ს.ც.ს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე #74
ს.ც.ს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე #75
ს.ც.ს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე #76
ს.ც.ს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე #77
ს.ც.ს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე #78

ს.ცს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე #79

ს.ცს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე #8

ს.ცს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე #80

ს.ცს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე #81

ს.ცს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე #82

ს.ცს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე #83

ს.ცს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე #84

ს.ცს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე #85

ს.ცს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე #86

ს.ცს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე #86

ს.ცს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე #87

ს.ცს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე #88

ს.ცს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე #89

ს.ცს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე #9

ს.ცს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე #90

ს.ცს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე #91

ს.ცს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე #92

ს.ცს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე #93

ს.ცს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე #94

ს.ცს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე #95

ს.ცს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე #96

ს.ცს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე #97

ს.ცს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე #98

ს.ცს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე #99

საარჩევნო ექსპრომტები, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919 წლის 31 იანვარი, გვ.3-4.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული, თბ. ივერთა მხარე, 1990. გვ.168-176; 282-283

საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი (ს.ცს.ს.ა.)

სოციალ-დემოკრატიული პარტიის საარჩევნო პლატფორმა, გაზ. „ერთობა“,1919 წლის 2 თებერვალი, გვ.1-2-3გვ.

შარაძე გ, დაბრუნება „რ.გაბაშვილის მოგონებები“,თბ. მეცნიერება 1991, ტ.3, 24-205გვ.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის განცხადება, გაზ. „საქართველოს რეს-პუბლიკა“, 1919 წლის 20 იანვარი, გვ.1.

წინასაარჩევნო ლოზუნგები და მოწოდებები, გაზ. „საქართველოს რეს-პუბლიკა“, 1919 წლის 2 თებერვალი, გვ.3-4.

წინასაარჩევნო ლოზუნგები და მოწოდებები, გაზ. „საქართველოს რეს-პუბლიკა“, 1919 წლის 5 თებერვალი, გვ.3-4.

წინასაარჩევნო ლოზუნგები და მოწოდებები, გაზ. „საქართველოს რეს-პუბლიკა“, 1919 წლის 7 თებერვალი გვ.3-4.

წინასაარჩევნო ლოზუნგები და მოწოდებები, გაზ. „საქართველოს რეს-პუბლიკა“, 1919 წლის 10 თებერვალი, გვ.3-4.

წინასაარჩევნო ლოზუნგები და მოწოდებები, გაზ. „საქართველოს რეს-პუბლიკა“, 1919 წლის 13 თებერვალი, გვ.3-4.

წინასაარჩევნო ლოზუნგები და მოწოდებები, გაზ. „საქართველოს რეს-პუბლიკა“, 1919 წლის 14 თებერვალი, გვ.3-4.

წინასაარჩევნო ლოზუნგები და მოწოდებები, გაზ.„ერთობა“, 1919 წლის 10 თებერვალი,გვ.1-2-3.

წინასაარჩევნო ლოზუნგები და მოწოდებები, გაზ.„ერთობა“, 1919 წლის 11 თებერვალი,გვ.1-2-3.

წინასაარჩევნო ლოზუნგები და მოწოდებები, გაზ.„ერთობა“, 1919 წლის 12 თებერვალი,გვ.1-2-3.

წინასაარჩევნო ლოზუნგები და მოწოდებები, გაზ.„ერთობა“, 1919 წლის 13 თებერვალი,გვ.1-2-3.

წინასაარჩევნო ლოზუნგები და მოწოდებები, გაზ.„ერთობა“, 1919 წლის 14 თებერვალი,გვ.1-2-3.

წინასაარჩევნო ლოზუნგები და მოწოდებები, გაზ.„ერთობა“, 1919 წლის 15 თებერვალი,გვ.1-2-3.

წინასაარჩევნო ლოზუნგები და მოწოდებები, გაზ.„ერთობა“, 1919 წლის 8 თებერვალი, გვ.3-4.

წინასაარჩევნო ლოზუნგები და მოწოდებები, გაზ.„საქართველო“, 1919 წლის 6 თებერვალი, გვ.1-4.

წინასაარჩევნო ლოზუნგები და მოწოდებები, გაზ.„საქართველო“, 1919 წლის 9 თებერვალი, გვ.1-4.

წინასაარჩევნო ლოზუნგები და მოწოდებები, გაზ.„საქართველო“, 1919 წლის 10 თებერვალი, გვ.1-4.

წინასაარჩევნო ლოზუნგები და მოწოდებები, გაზ.„საქართველო“, 1919 წლის 11 თებერვალი, გვ.1-4.

წინასაარჩევნო ლოზუნგები და მოწოდებები, გაზ.„საქართველო“, 1919 წლის 12 თებერვალი, გვ.1-4.

წინასაარჩევნო ლოზუნგები და მოწოდებები, გაზ.„საქართველო“, 1919 წლის 13 თებერვალი, გვ.1-4.

წინასაარჩევნო ლოზუნგები და მოწოდებები, გაზ.„საქართველო“, 1919 წლის 14 თებერვალი, გვ.1-4.

წინასაარჩევნო ლოზუნგები და მოწოდებები, გაზ.„საქართველო“, 1919 წლის 15 თებერვალი, გვ.1-4.

წინასაარჩევნო ლოზუნგები და მოწოდებები, გაზ.„სახალხო საქმე“, 1919 წლის 30 იანვარი, გვ.2-3.

წინასაარჩევნო ლოზუნგები და მოწოდებები, გაზ.„სახალხო საქმე“, 1919 წლის 3 თებერვალი, გვ.3-4.

წინასაარჩევნო ლოზუნგები და მოწოდებები, გაზ.„სახალხო საქმე“, 1919 წლის 6 თებერვალი, გვ.3-4.

წინასაარჩევნო ლოზუნგები და მოწოდებები, გაზ.„სახალხო საქმე“, 1919 წლის 10 თებერვალი, გვ.3-4.

წინასაარჩევნო ლოზუნგები და მოწოდებები, გაზ.„სახალხო საქმე“, 1919 წლის 11 თებერვალი, გვ.3-4.

წინასაარჩევნო ლოზუნგები და მოწოდებები, გაზ.„სახალხო საქმე“, 1919 წლის 12 თებერვალი, 3-4გვ.

წინასაარჩევნო ლოზუნგები და მოწოდებები, გაზ.„სახალხო საქმე“, 1919 წლის 13 თებერვალი, 3-4გვ.

წინასაარჩევნო ლოზუნგები და მოწოდებები, გაზ.„სახალხო საქმე“, 1919 წლის 14 თებერვალი, 3-4გვ.

წინასაარჩევნო ლოზუნგები და მოწოდებები, გაზ.„სახალხო საქმე“, 1919 წლის 15 თებერვალი, 3-4გვ.

ბენდიანიშვილი ალ, საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918-1921წწ.), თბ. მემატიანე, 2001, -366გვ.

ბენდიანიშვილი ალ, ეროვნული საკითხი საქართველოში 1801-1921წწ, თბ. მეცნიერება, 1980, -275გვ.

გურული ვ, ვაჩნაძე მ, ქართული სოციალ-დემოკრატიის ისტორია (1892-1918), თბ. მერიდიანი, 1999, -481გვ.

გურული ვ, ნოე ჟორდანია, პოლიტიკური პორტრეტი 1869-1953, თბ. ინტელექტი, 1999, -279გვ.

ვადაჭკორია შ, ქართული სოციალ-დემოკრატია 1917-1921 წლებში, თბ. მეცნიერება, 2001, -496გვ.

კუპატაძე ბ, საქართველოს ხელისუფლების ისტორია, თბ. უნივერსალი, 2009, -150გვ.

მაცაბერიძე მ, არჩევნები და საზოგადოება, თბ. მეცნიერება, 2003, -488გვ.

მაცაბერიძე მ, საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის პოლიტიკური კონცეფცია, თბ.1997, -294გვ.

მაცაბერიძე მ, საქართველოს კონსტიტუციის შემუშავება და მიღება დამფუძნებელი კრების მიერ, საქართველოს დამფუძნებელი კრება პარლამენტარიზმის გამოცდილება, საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის 90-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, თბ.პოლიტ. კვლების ინსტიტუტი და თსუ, 2011, 5-27გვ

საითიძე გ, პეტრე სურგულაძის საგამომცემლო-პუბლიცისტური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობა, თბ.უნივერსალი, 2009, -165გვ.

საითიძე გ, სწამდა სამშობლოს აღორძინება, თბ. საარი, 1997,-112გვ.

საქართველოს ისტორია XIX-XX საუკუნე, თბ. პალიტრა L, 2012, ტ.4. -512გვ.

საქართველოს ისტორია XX საუკუნე, თბ. არტანუჯი, 2003, -272გვ.

სურგულაძე ა, სურგულაძე პ, საქართველოს ისტორია, თბ. თსუ, საქართველოს ახალგაზრდა ისტორიკოსთა ასოციაცია, 1991, -461გვ.

სურგულაძე პ, საქართველოს დამფუძნებელი კრება და პარიზის სამშვიდობო კონფერენცია, საქართველოს დამფუძნებელი კრება პარლამენტარიზმის გამოცდილება, საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის 90-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, თბ.პოლიტ. კვლების ინსტიტუტი და თსუ, 2011, 29-45გვ.

სურგულაძე პ, ქართული პარლამენტარიზმის სათავეებთან, თბ. სამშობლო, 1991, -31გვ.

ქავთარაძე ე,დავით ყიფშიძე, თბ.თსუ, 1992,-264გვ.

შველიძე დ, საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია 1903-1917წწ. თბ. თსუ, 1997, -308გვ.

ცინაძე ზ, საქართველოს დამფუძნებელი კრების 1919 წლის არჩევნები(ოფიციალური მონაცემების მიხედვით),თსუ-ს ისტორიის ინსტიტუტის შრომები, თბ. მერიდიანი, 2011, 311-322გვ.

ცინაძე ზ, საქართველოს პირველი რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების რეგლამენტი, ქართველოლოგიური კვლევები:ძირითადი ტენდენციები და თანამედროვე პრობლემები, თბ.უნივერსალი, 2012, 101-103გვ.

ჭანტურია ნ, ეროვნული საბჭო და მისი ბრძოლა საქართველოს სახელმწი-

ფოებრიობის აღდგენისა და განმტკიცებისათვის,თბ. უნივერსალი, 2006, -182გვ.

ჭუმბურიძე დ, 1919 წლის წინასაარჩევნო კამპანია და პარტიული აგიტაცია ქართულ პრესაში, საქართველოს დამფუძნებელი კრება პარლამენტარიზმის გამოცდილება, საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის 90-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, თბ.პოლიტ.კვლების ინსტიტუტი და თსუ, 2011, 47-55გვ.

ჯანელიძე ო, დახვრეტილი თავისუფლება, თბ. ისტორიის და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, 2000, -156გვ.

ჯანელიძე ო, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ისტორიიდან, თბ. მეცნიერება, 2002, -535გვ.

ჯანელიძე ო,საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამეზობლო პოლიტიკა და დამფუძნებელი კრება,საქართველოს დამფუძნებელი კრება პარლამენტარიზმის გამოცდილება, საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის 90-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, თბ.პოლიტ.კვლების ინსტიტუტი და თსუ, 2011, 57-72გვ.

ჯონსი სტ, სოციალიზმი ქართულ ფერებში, თბ. ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო გამომცემლობა, 2007, -428გვ.